GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

30 Aralık / დეკემბერი 2022

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon /ინფლაცია
3 688.6	5023.2	10.5%	20.6 %	10.4 %

Büyükelçiler Konferansı 2022
ელჩების კონფერენცია 2022

Dışişleri Bakanlığında yurtdışındaki Gürcistan Diplomatik Misyon Başkanları'nın yıllık toplantısı- Büyükelçiler Konferansı 2022 meydana geldi. Konferans Dışişleri Bakanı, Sayın İlia Darchiashvili tarafından açıldı.

Gürcistan Başbakanı, Sayın İrakli Garibashvili ile Gürcistan Parlamentosu Başkanı, Sayın Shalva Papuashvili bir karşılaşma konuşması yaptılar.

Hükümet Başkanı Sayın Büyükelçiler ile ülkenin dış politikasının ana yönleri ve önceliklerini değerlendirip, onlara somut görevleri verdi.

Gürcistan Başbakanı, Sayın İrakli Garibashvili Büyükelçiler Konferansı açılışında konuşma yaparken her ülkenin egemenliğine saygı duyduğumuzu, fakat bilhassa vatanımızı sevdiğimizi ve vatanımızın menfaatleri savunmamızın bir mecburiyet olduğunu vurguladı.

Başbakanımıza göre, bu büyük çalışmada, Gürcistan'ın çıkarlarının doğru bir şekilde gösterilmesinde ve mesajımızın dünyanın Başkentlerine doğru bir şekilde iletilmesinde Büyükelçiler'in rölü özeldir.

Sayın İrakli Garibashvili yılın önemli olumlu olayı olarak Avrupa Bütünleşmesi'ne giden yolda ülkemizin başarı ile ilerlediğini ilan etti.

Başbakanımıza göre, hükümetin makul ve tutarlı politikası neticesinde, bugün, ülkemizde sadece barış ve istikrar değil, çift haneli ekonomik büyüme de mevcut.

Sayın İrakli Garibashvili Karadeniz denizaltı elektrik kablosu projesinin altını çizip bu stratejik projesinin Gürcistan'ın girişimi olduğunu belirtti.

Hükümet Başkanı Sayın Büyükelçilere çalışmalarından dolayı teşekkürlerini sunup Büyükelçiliklerde istihdam edilen çalışanların sosyal durumunu geliştirmek için hükümetin elinden geleni yaptığını ifade etti.

საგარეო საქმეთა სამინისტროში საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელთა ყოველწლიური შეკრება - ელჩების კონფერენცია 2022 ჩატარდა. კონფერენცია საგარეო საქმეთა მინისტრმა, ბატონმა ილია დარჩიაშვილმა გახსნა.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

ქართველ დიპლომატებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა და პარლამენტის თავმჯდომარემ, ბატონმა შალვა პაპუაშვილმა.

მთავრობის მეთაურმა ელჩებთან ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები მიმოიხილა და მათ კონკრეტული დავალებები მისცა.

ყველა ქვეყნის სუვერენიტეტს პატივს ვცემთ, მაგრამ ყველაზე მეტად გვიყვარს ჩვენი ქვეყანა და მთავარი ვალდებულება ჩვენი ქვეყნის ინტერესების დაცვაა, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ელჩების კონფერენციის გახსნაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ამ დიდ საქმეში ელჩების როლი განსაკუთრებულია იმ თვალსაზრისით, რომ მსოფლიოს დედაქალაქებში სწორად იქნეს მიტანილი ჩვენი სათქმელი და საქართველოს ინტერესები სწორად წარმოჩინდეს.

ირაკლი ღარიბაშვილმა წლის მნიშვნელოვან დადებით მოვლენად ევროინტეგრაციის გზაზე ქვეყნის წარმატება დაასახელა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, მთავრობის გონივრული, თანამიმდევრული პოლიტიკის შედეგად, დღეს ქვეყანაში არათუ მშვიდობა და სტაბილურობაა, არამედ ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვაქვს.

ირაკლი ღარიბაშვილმა შავი ზღვის ელექტროკაბელის პროექტის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ ეს სტრატეგიული პროექტი ქართული ინიციატივაა.

მთავრობის მეთაურმა ელჩებს გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ მთავრობა მაქსიმუმს აკეთებს საელჩოებისა და საელჩოებში დასაქმებული თანამშრომლების სოციალური მდგომარეობის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად.

Denizaltı Elektrik Kablosu Projesi

ელექტროენერგიის წყალქვეშა კაბელის პროექტი

Gürcistan, Azerbaycan, Romanya ve Macaristan Karadeniz üzerinden elektrik ileten bir denizaltı elektrik kablosu projesini imzaladılar.

İmza töreni Romanya'da, Kortochen Sarayında düzenlendi. Belgeyi Gürcistan Başbakanı, Sayın İrakli Garibashvili; Azerbaycan Cumhuriyeti Cumhurbaşkanı, Sayın İlham Aliyev; Romanya Başbakanı, Sayın Nicolae Ciuca ile Macaristan Başbakanı, Sayın Viktor Orban tarafından imzalandı. Törene Avrupa Komisyonu Başkanı, Sayın Ursula von der Leyen de katıldı.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Dörtlü bir hükümetlerarası sözleşme Romanya ile Azerbaycan arasında, Gürcistan ve Karadeniz üzerinden yenilenebilir enerji kaynaklarından elekrik enerjisini taşımak için bir denizaltı kablosu projesinin gerçekleştirilmesini sağlayacaktır.

Avrupa Komisyonu Başkanı, Sayın Ursula von der Leyen'in belirttiği gibi, Karadeniz üzerinden elekrik enerjisi ileten bir denizaltı elektrik kablosu yeni fırsatlara bir pencere açacak, sözü geçen proje Gürcistan'ı bir elekrik enerjisi merkezi edecek.

Gürcistan Başbakanı, Sayın İrakli Garibashvili denizaltı elektrik kablosu projesi vesilesiyle Avrupa Birliği ile Güney Kafkasya bölgesi arasında transit geçiş ve ticaret fırsatlarının artırılacağını söyledi.

Siyasi ağırlıktan ziyade, proje ekonomik açısından da gerekçelidir ve projede yer alan her ülkeye, Gürcistan da dahil olmak üzere yarar sağlayacaktır.

საქართველომ, აზერბაიჯანმა, რუმინეთმა და უნგრეთმა შავი ზღვის გავლით ელექტროენერგიის გადამცემი წყალქვეშა კაბელის პროექტს ხელი მოაწერეს.

ხელმოწერის ცერემონია რუმინეთში, კოტროჩენის სასახლეში გაიმართა. დოკუმენტი გააფორმეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ილჰამ ალიევმა, რუმინეთის პრემიერ-მინისტრმა, ნიკოლაე ჩუკამ და უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა, ვიქტორ ორბანმა. ცერემონიას ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი დაესწრო.

ოთხმხრივი მთავრობათაშორისი შეთანხმება უზრუნველყოფს წყალქვეშა კაბელის პროექტის რეალიზაციას რუმინეთსა და აზერბაიჯანს შორის, საქართველოსა და შავი ზღვის გავლით, განახლებადი წყაროებიდან ელექტროენერგიის ტრანსპორტირებისთვის.

როგორც ევროკომისიის პრეზიდენტმა, ურსულა ფონ დერ ლაიენმა აღნიშნა, შავი ზღვის გავლით ელექტროენერგიის გადამცემი წყალქვეშა კაბელი იქნება ახალი შესაძლებლობის ფანჯარა, ეს პროექტი საქართველოს ელექტროენერგიის ჰაბად აქცევს.

ამასთან, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ელექტროენერგიის გადამცემი წყალქვეშა კაბელის პროექტით გაიზრდება ტრანზიტისა და ვაჭრობის შესაძლებლობა ევროკავშირსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონს შორის.

გარდა უდიდესი პოლიტიკური დატვირთვისა, პროექტი ეკონომიკურად არის გამართლებული და დიდ სარგებელს მოუტანს მასში მონაწილე ყველა ქვეყანას და რა თქმა უნდა საქართველოსაც.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Çin Havayolu Şirketi China Southern Airlines Gürcistan Havacılık Pazarına Geri Dönmektedir

ჩინური ავიაკომპანია China Southern Airlines-ი საქართველოს საავიაციო ბაზარზე ბრუნდება

Çin Halk Cumhuriyeti'nin önde gelen havayolu şirketi China Southern Airlines Gürcistan yönünde düzenli uçuşları yenileyecek.

Urumçi-Tiflis-Urumçi hava hattında 2023 yılın Ocak ayından itibaren düzenli uçuşlar gerçekleştirilecektir.

Pandemiden önce, 2019 yılında Çin'den 2018 yıla göre %50.9 artışla 48.071 uluslararası ziyaret gerçekleştirilmişti, ilk 15 ülke arasında ise Çin 15. sıradaydı.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ერთ-ერთი წამყვანი ავიაკომპანია China Southern Airlines საქართველოს მიმართულებით რეგულარულ საჰაერო მიმოსვლას განაახლებს.

ურუმჩი – თბილისი – ურუმჩის საჰაერო ხაზზე, რეგულარული ფრენები 2023 წლის იანვრიდან დაიწყება.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს, პანდემიამდე ჩინეთიდან 48,071 საერთაშორისო ვიზიტი განხორციელდა, რაც 50.9% - იანი მატება იყო 2018 წელთან შედარებით, ხოლო ტოპ 15 ქვეყანას შორის ჩინეთი მეთხუთმეტე ადგილზე პოზიციონირებდა.

Türkiye Karadeniz'de Yeni Gaz Rezervi Keşfetti

თურქეთმა შავ ზღვაში ბუნებრივი აირის ახალი მარაგი აღმოაჩინა

"Fatih" adlı Türk sondaj gemisi Karadeniz'in Çaycuma 1 kuyusunda, 3000 metre derinlikte 58 milyar metreküp doğalgaz rezervi keşfetti. Türkiye'nin Karadeniz doğalgaz rezervi 710 milyar metrekübe kadar arttı.

თურქულმა საძიებო-საბურღმა გემმა "ფათიჰმა" შავი ზღვის Çaycuma-1-ს ბლოკში, 3000 მეტრის სიღრმეზე 58 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის მარაგი აღმოაჩინა. თურქეთის შავი ზღვის გაზის მარაგი 710 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაიზარდა.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Azerbaycan Bakü-Kars Demiryolu İçin 100 Milyon ABD Doları Ayırdı

აზერბაიჯანმა ბაქო-ყარსის რკინიგზისთვის $100 მლნ გამოყო

Azerbaycan tarafı Bakü-Tiflis-Kars demiryolu altyapısının tamamlanması için 100 milyon ABD Doları ayırdı. Bakü-Tiflis-Kars demiryolu projesi 2024 yılında tamamlanacak.

Bakü-Tiflis-Kars ana demiryolu 30 Ekim, 2017 yılında test modunda faaliyete geçmişti. Proje kapsamında 68 kilometresi Türkiye'de, 30 kilometresi ise Gürcistan'da bulunan 98 kilometrelik Kars-Akhalkalaki demiryolu inşa edildi. Aynı proje vesilesiyle Gürcistan'da 183 kilometrelik Akhalkalaki-Tiflis demiryolu kesidinin rekonstrüksiyonu gerçekleştirildi. Bakü-Tiflis-Kars ana demiryolunun toplam uzunluğu 827 kilometredir. Cari yıl demiryolu ile taşınan yüklerin hacmi geçen yılın verilerine göre 2.1 kat artarak, 476.9 bin ton olarak gerçekleşti.

აზერბაიჯანული მხარე ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის ინფრასტრუქტურის დასრულებისთვის $100 მილიონი გამოყო. ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტი 2024 წელს დასრულება.

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი სატესტო რეჟიმში 2017 წლის 30 ოქტომბერს ამოქმედდა. პროექტის ფარგლებში აშენდა ყარსი-ახალქალაქის 98 კმ-იანი რკინიგზა, რომლის 68 კმ თურქეთის ტერიტორიაზეა, 30 კმ კი საქართველოს ტერიტორიაზე. ამავე პროექტით საქართველოში ახალქალაქი-თბილისის 183 კმ-იანი სარკინიგზო მონაკვეთის რეკონსტრუქცია მოხდა. ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის საერთო სიგრძე 827 კმ-ია. წელს რკინიგზით გადაზიდული ტვირთის მოცულობამ 476.9 ათასი ტონა შეადგინა, რაც გასული წლის მონაცემებს 2.1-ჯერ აღემატება.

United Payment İle Gürcistan Ulusal Bankası Arasında Bir Görüşme Gerçekleştirildi

United Payment-სა და საქართველოს ეროვნულ ბანკს შორის შეხვედრა გაიმართა

Uluslararası FaaS (Fintech as a Service) şirketi Başkanları Gürcistan Ulusal Bankası'nda bir tanıtım toplantısı düzenlediler.

United Payment kurucusu ve Yönetim Kurulu Başkanı, Sayın İlker Sozdinler; Bölge Müdürü, Sayın Maria Raykhlina ile Gürcistan Temsilciliği Genel Müdürü, Sayın Nino Chedia Ulusal Bankası Başkan Yardımcıları, Sayın Archil Mestvirishvili ile Sayın Papuna Lezhava ile buluştular.

Toplantıda United Payment Başkanları Ulusal Bankası temsilcilerine şirketin faaliyetlerini tanıtıp grubun farklı ülke pazarlarına sunmuş olduğu mali hizmetlerinden bahsettiler. Taraflar Gürcistan'ın Fintech ekosistemi, mevcut fırsatları, zorlukları ve gelecek planlarını değerlendirmede bulundular.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI ᲘᲛᲔᲜᲔᲯᲘ İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

United Payment Gürcistan'da faaliyete geçirmeye hazırlanmaktadır. Şirket, Gürcistan'da temsilciliğini 2022 yılın yaz döneminde açmış olup ülkenin mali teknolojileri geliştirme doğrultusunda azimli planlara sahiptir.

საერთაშორისო FaaS (Fintech as a Service) კომპანიის ხელმძღვანელებმა საქართველოს ეროვნულ ბანკში გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართეს.

United Payment-ის დამფუძნებელი და კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი, ილკერ სოზდინლერი, რეგიონალური დირექტორი მარია რეიხლინა და საქართველოს წარმომადგენლობის გენერალური დირექტორი, ნინო ჭედია, ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტებს, არჩილ მესტვირიშვილსა და პაპუნა ლეჟავას შეხვდნენ.

შეხვედრაზე United Payment-ის ხელმძღვანელებმა ეროვნული ბანკის წარმომადგენლებს კომპანიის საქმიანობა გააცნეს და იმ ფინანსურ სერვისებსა და მომსახურებებზე ისაუბრეს, რომლებსაც ჯგუფი სხვადასხვა ქვეყნების ბაზრებს სთავაზობს. მხარეებმა განიხილეს საქართველოს ფინტექ ეკოსისტემის ირგვლივ არსებული გარემო, შესაძლებლობები, გამოწვევები და სამომავლო ხედვები.

United Payment-ი საქართველოში ოპერირების დასაწყებად ემზადება. კომპანიამ საქართველოში წარმომადგენლობა 2022 წლის ზაფხულში გახსნა და ქვეყანაში ფინანსური ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებით ამბიციური გეგმები აქვს.

Yerel İhracat (Yeniden İhracat Hariç) Ocak- Kasım 2022
ადგილობრივი ექსპორტი (რეექსპორტის გარეშე) 2022 წლის იანვარი-ნოემბერი

2022 yılın Ocak-Kasım aylarında Gürcistan'dan yapılan mal ihracatı, geçen yılın aynı dönemine göre %31.8 oranında daha fazla olan 5 037 milyon ABD doları olarak gerçekleşti.

Yeniden ihracat hariç ihracat, toplam ihracatın %67.6'sını oluşturmaktadır. Bu rakam bir önceki yıla göre %21.4 oranında artarak 3 406.3 milyon ABD doları olarak gerçekleşti.

2022 yılın Ocak-Kasım aylarında Gürcistan'ın toplam yurtiçi ihracatında en büyük on ülkenin payı %80.3'ü olarak gerçekleşti. En büyük ihracat ortakları Çin (621.8 milyon ABD Doları), Rusya (499.2 milyon ABD Doları) ve Türkiye (391.8 milyon ABD Doları).

2022 წლის იანვარ-ნოემბერში საქართველოდან განხორციელებული საქონლის ექსპორტის მოცულობამ 5 037.მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 31.8%-ით მეტია გასული წლის შესაბამის მაჩვენებელზე.

ექსპორტი რეექსპორტის გარეშე, მთლიანი ექსპორტის 67.6%-ს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 21.4%-ით გაიზარდა და 3 406.3 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა.

2022 წლის იანვარ-ნოემბერში ათი უმსხვილესი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ადგილობრივ ექსპორტში 80.3% შეადგინა. ამ მხრივ, უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორებია: ჩინეთი (621.8 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (499.2 მლნ. აშშ დოლარი) და თურქეთი (391.8 მლნ. აშშ დოლარი).



Gürcistan'ın Dış Ticareti Ocak-Kasım 2022
საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2022 წლის იანვარი-ნოემბერი

2022 yılın Ocak-Kasım aylarında Gürcistan'ın dış ticaret cirosu 17 018.2 milyon ABD doları teşkil etmiştir ve bu rakam bir önceki yılın aynı verilerine kıyasla %32.2 daha fazladır. İhracat 5 037.1 milyon ABD doları (Büyüme %31.8), ithalat ise- 11 981.1 milyon ABD doları (Büyüme %32.4) olmuştur. 2022 yılın Ocak-Kasım aylarında negatif ticaret bilançosu 6 944.1 milyon ABD Dolara ulaşarak dış ticaret cirosunun %40.8'ini teşkil etmiştir.

2022 წლის იანვარ-ნოემბერში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 17 018.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 32.2 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 5 037.1 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (31.8 %-ით

გაიზარდა), ხოლო იმპორტი 11 981.1 მლნ. აშშ დოლარს (32.4 %-ით გაიზარდა). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2022 წლის იანვარ-ნოემბერში, 6 944.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 40.8 პროცენტია.

Ocak-Kasım 2022'de Gürcistan'ın toplam dış ticaret cirosunda en büyük on ortağın payı %68.9'u olarak teşkil etmiştir. En büyük ticaret ortakları aşağıdaki gibidir: Türkiye (2 552.9 mln. ABD Doları), Rusya (2 205.8 mln. ABD Doları) ve Çin (1 678.4 mln ABD Doları).

2022 წლის იანვარ-ნოემბერში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 68.9 პროცენტი შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი (2 552.9 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (2 205.8 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (1 678.4 მლნ. აშშ დოლარი)



Ocak-Kasım 2022'de Gürcistan'ın toplam ihracatında en büyük on ticaret ortağının payı %78.9'u olarak teşkil etmiştir. En büyük 10 ticaret ortakların listesini aşağıdaki tabloda görebilirsiniz:

2022 წლის იანვარ-ნოემბერში ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 78.9 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საიმპორტო ათეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Çin / ჩინეთი	$ 660 712.1
Rusya / რუსეთი	$ 597 938.2
Azerbaycan/აზერბაიჯანი	$ 595 464.4
Ermenistan / სომხეთი	$ 495 640.3
Türkiye / თურქეთი	$ 409 710.7
Bulgaristan / ბულგარეთი	$ 395 493.7
ABD / აშშ	$ 262 117.0
Ukrayna / უკრაინა	$ 221 729.9
Kazakistan/ყაზახეთი	$200 499.9
Peru / პერუ	$ 135 777.1
Diğer / სხვა	$ 1 061 993.7

2022 yılın Ocak-Kasım aylarında Gürcistan'ın toplam ithalatında en büyük on ticaret ortağının payı %67.3'ü olarak teşkil etmiştir. En büyük 10 ticaret ortakların listesini aşağıdaki tabloda görebilirsiniz:

2022 წლის იანვარ-ნოემბერში ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 67.3 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საიმპორტო ათეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

Türkiye / თურქეთი	$ 2 143 188.4
Rusya / რუსეთი	$ 1 607 840.4
Çin / ჩინეთი	$ 1 017 714.4
ABD / აშშ	$ 821 015.3
Almanya / გერმანია	$ 574 442.1
Azerbaycan/აზერბაიჯანი	$ 572 955.4
Ermenistan / სომხეთი	$ 548 120.0
Romanya/რუმინეთი	$ 265 599.4
Japonya/იაპონია	$ 260 894.8
İtalya/იტალია	$ 250 200.6
Diğer / სხვა	$ 3 919 177.2

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING



2022 Yılın 11 Ayın Verilerine Göre, Turizmden Elde Edilen Gelir 3,2 Milyar ABD Doları Oluşturdu

2022 წლის 11 თვის მონაცემებით ტურიზმიდან მიღებული შემოსვალი 3,2 მილიარდ დოლარს შადგენს

Uluslararası Borsada Petrol Fiyatları Yükselmektedir

საერთაშორისო ბირჟაზე ნავთობის ფასები იზრდება

Türk Lirası Rekor Değer Kaybetti

თურქული ლირა რეკორდულად გაუფასურდა

ARKAS GEORGIA LLC
EFES GEORGIA
LC WAIKIKI
İŞBANK
MAQRO CONSTRUCTION
nurol
ŞİŞECAM
TAV Airports
UMETEK ENGINEERING

2022 Yılında Gürcistan Bütçe Şeffaflığı Açısından Dünya Birincisi Oldu

2022 წელს საქართველომ მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავა ბიუჯეტის გამჭვირვალობის მიმართულებით.

Gürcistan 2023 Yılından İtibaren Euro-5 Tipi Dizeli Azerbaycan'dan Da Alacak

2023 წლიდან საქართველო ევრო-5 ტიპის დიზელს აზერბაიჯანიდანაც მიიღებს

Peru Gürcistan'ın İhracat Yaptığı 10 Ülke Arasındadır

პერუ საქართველოს საექსპორტო ქვეყნების ათეულშია



ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 2.7103 TRY/GEL – 0.1448 EUR/GEL – 2.8832 GBP/GEL – 3.2621

USD/GEL

23 - 30 Aralık 2022

USD/TR

23 - 30 Aralık 2022

TRY/GEL

23 - 30 Aralık 2022

BTC – 16. 818. 08

23 - 30 Aralık 2022

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING